**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**სხდომის ოქმი №16**
**(ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის გაგრძელება)**

ქ.წალენჯიხა 2022 წლის 20 იანვარი

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე: კორნელი სალია

საკრებულოს 27 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 24 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, დავით ბელქანია, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, მანანა ჭანია, სოლომონ სარია, ზაზა უბილავა, დათა კუკავა, ნანა კეკუა, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ეკა სამუშია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, ბაჩანა ქანთარია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, რომან კვარაცხელია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, გიორგი დარსალია.

ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს უხუცესმა წევრმა ავთანდილ გაბელიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

**სხდომა დაიწყო:** 12:00 სთ.
**სხდომა დასრულდა:** 13:25 სთ.

**მოისმინეს: 7. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;**

სხდომა დაიწყო საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებით, კენჭი ეყარა საკრებულოს წევრის კორნელი სალიას კანდიდატურას.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრებმა პროტესტის ნიშნად არ მიიღეს მონაწილეობა თავმჯდომარის არჩევაში.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 15 წევრმა.

კორნელი სალიას ხმა მისცა 14–მა საკრებულოს წევრმა, აქედან ბათილი იყო–1 ბიულეტენი.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით საკრებულოს მიერ მიღებულიქნა განკარგულება (N1) საკრებულოს თავმჯდომარედ კორნელი სალიას არჩეულად ცნობის შესახებ.

ამის შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეობა გააგრძელა საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ.

**მოისმინეს: 8. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

საკითხი წარმოადგინა სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე .

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 1 ).

სხდომის თავმჯდომარე კორნელ სალიამ საკრებულოს სხდომა გადადო 25 იანვრის 12 სთმდე.

სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია